საზოგადოება

"განათლების ინტერნაციონალმა" სპეციალური განცხადება გაავრცელა

18:00 08-12-2010

საერთაშორისო ორგანიზაცია "განათლების ინტერნაციონალმა" 2010 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რიგგარეშე ყრილობასთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადება გაავრცელა. განცხადების ტექსტს "ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ:

~ჩვენ ვესწრებოდით განათლების ინტერნაციონალის წევრი ორგანიზაციის ყრილობას, როგორც დამოუკიდებელი დამკვირვებლები და ხელს ვაწერთ მიმართვას.

ყრილობისთვის მზადება მიმდინარეობდა და ყრილობა გაიმართა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ)-ის წესდების და დებულებების თანახმად. კანდიდატები საარჩევნოდ განისაზღვრა სამართლიანად, კანონიერების ფარგლებში. შესაბამისად, მოხდა მანანა ღურჭუმალძის შეცვლა.

ყრილობის დროს ერთი ჯგუფის მხრიდან იყო მცდელობა ჩაშლილიყო საარჩევნო პროცესი. ეკატერინე ჩერქეზიშვილი, რომელსაც ამბიცია ჰქონდა თუმცა მისი კანდიდატურა ვერ განიხილებოდა პრეზიდენტის პოსტზე, წესდებიდან გამომდინარე, უძღვებოდა კარგად ორგანიზებულ ქმედებას, რომელსაც დელეგატების ერთი მესამედი გაჰყვა, თუმცა მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. დემოკრატიული პროცესების წარმართვას ყრილობაზე ხელი შეუწყო მრავალრიცხოვან დელეგატთა დაბრუნებამ. ყრილობაზე არჩეული იქნა პრეზიდენტი საარჩევნო პროცესების თანახმად.

მაია კობახიძე არჩეულ იქნა 111 ხმათა ოდენობით. გამომდინარე იქედან, რომ არჩევნები გაიმართა სპმთპ-ის მიერ დადგენილი წესების და დადგენილებების ფარგლებში, ჩვენ ვაღიარებთ მას, როგორც დემოკრატიულად არჩეულ სპმთპ-ის პრეზიდენტს.

ჩვენ ვგმობთ, რომ ახლად არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმდინარეობს საწინააღმდეგო ქმედებები. მთავრობას ვხოვთ გადადგას ნაბიჯები სპმთპ-თან ურთიერთობების დასარეგულირებლად. აღიაროს როგორც ლეგიტიმური პრეზიდენტი, აღადგინოს გადარიცხვის სისტემა და დაიწყოს მოლაპარაკების წარმოება~.

განცხადებას ხელს აწერენ განათლების ინტერნაციონალის გენერალური მდივანი ფრედ ვან ლოუვენი, ამერიკის მასწავლებლეთა ფედერაციის წარმომადგენელი დავიდ დორნი და განათლების ინტერნაციონალის წარმომადგენელი გასტონ დე ლა ჰე.

მასალის გამოყენების პირობები